საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №106/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 25 სექტემბრის №106 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის №106/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

1.1. მოსამართლემ ყურადღება არ მიაქცია მოწინააღმდეგე მხარის გამონათქვამებს საჩივრის ავტორის მიმართ. შემოიფარგლა ზოგადი განცხადებებით და მხოლოდ წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდა მხარეებს. საჩივრის ავტორის განცხადებით აღნიშნული მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე.

1.2. ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ ისე შეწყვიტა საქმის წარმოება, რომ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებამდე არ აიღო რამდენიმე წუთიანი შესვენება საქმის გარემოებებში გარკვევის მიზნით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შსს -- -- დეპარტამენტის -- განსახილველად გადააგზავნა -- -- მიმართ გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი -- --, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შესაძლო ჩადენისათვის. წარდგენილი სამართალდარღვევის ოქმით, -- -- არასათანადოდ მოეპყრო ცხოველს სახელად „--“, რამაც ძაღლისათვის ტკივილის მიყენება და სხეულის დაზიანება გამოიწვია.

საქმეზე სასამართლოს სხდომები გაიმართა 2020 წლის 2 აგვისტოსა და 1 სექტემბერს. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 1 სექტემბრის

დადგენილებით შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება -- -- მიმართ ქმედებისათვის, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 25 სექტემბრის №106 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სხვა მოსა-მართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 1.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და განავითაროს სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა გაამყაროს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელსაც აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა სასამართლო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამავე პრინციპების 4.1 მუხლის თანახმად, მოსამართლისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, ხოლო ამავე პრინციპების 6.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლის ვალია, მიუკერძოებლად მოუსმინოს მხარეებს, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მან სიმტკიცე და შეუვალობა უნდა გამოიჩინოს, რათა თანასწორობის ატმოსფერო შექმნას, წესრიგი და შესაბამისი ეტიკეტის დაცვა უზრუნველყოს სასამართლო დარბაზში.

წესრიგში მოიაზრება სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კორექტულობა, რაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაცული იყოს სასამართლო პროცედურის დადგენილი წესები. ეტიკეტში მოიაზრება ზრდილობიანობისა და თავაზიანობის, გულწრფელი ყურადღების ატმოსფერო, რაც საზოგადოების თვალში იმის ნიშანია, რომ სასამართლო საქმეს გულდასმით და სამართლიანად განიხილავს. სხვადასხვა მოსამართლეს განსხვავებული შეხედულება და სტანდარტები შეიძლება ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება გარემოებებს ადვოკატის ან სასამართლო განხილვის სხვა მონაწილის კონკრეტული ქცევა, მეტყველება თუ სამოსი. ის, რასაც ერთი მოსამართლე არსებული ეტიკეტის ნორმების აშკარა დარღვევად თვლის, მეორისათვის უწყინარი ექსცენტრიულობა შეიძლება იყოს, არ ეხებოდეს საქმეს ან, სულაც, სავსებით შეესაბამებოდეს ქცევის ნორმებს. გარდა ამისა, ზოგი საქმე ფორმალობების მეტად დაცვას მოითხოვს, ვიდრე სხვა საქმეები. ამგვარად, დროის ყოველ კონკრეტულ მომენტში რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მიმობნეული სასამართლოების დარბაზებში შეიძლება ვიხილოთ წესრიგისა და ეტიკეტის სხვადასხვა გამოვლინების ფართო სპექტრი.

მოსამართლეთა უნივერსალური ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, მოსამართლემ თავისი მოვალეობები უნდა შეასრულოს თავშეკავებულად და გაუფრთხილდეს სასამართლოსა და ყველა მონაწილე პირთა ღირსებას.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ მე-16 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად. მოსამართლის პირადი, საზოგადოებრივი და პროფესიული ქცევა კარგად ინფორმირებული, ობიექ-ტური, კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ უნდა აღიქმებოდეს ღირსეულ, უმწიკვლო ქცევად. ამავე წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, ხოლო წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული სანქცია.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევავათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაცი-ულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

მოსამართლის ქმედებაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXV თავზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მთავარი სხდომის წარმართვის (ჩატარების) წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა შორის არსებული დავის სწორად და კანონის შესაბამისად გადაწყვეტას, მათი საპროცესო უფლებების სრული რეალიზაციის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულოობის წესს. კანონმდებელი მითითებული კოდექსის 211-ე მუხლში განმარტავს, რომ მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ადგენს იმ სანქციებს, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც აქვს მოსამართლეს. საქმის განხილვის მსვლელობისას მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი მართოს პროცესი. სასამართლოს ნებართვის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება (მათ შორის მოქმედებაც) მოსამართლის მიერ შეიძლება აღქმული იქნეს წესრიგის დარღვევად და სამართლიანად დაექვემდებაროს საპროცესო პასუხისმგებლობის ღონისძიებას. საქმის განხილვაში მონაწილე ნებისმიერი პირის ვალდებულებაა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს, ხელს არ უშლიდეს სასამართლოს საქმიანობას, ასრულებდეს მოსამართლის მითითებებს და ემოციის საფუძველზე აშკარად არ გამოხატავდეს სასამართლოს ან პროცესის მონაწილეების (მათ შორის დარბაზში მყოფი პირების) მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.

დადგენილია, რომ საქმეზე სასამართლოს სხდომები გაიმართა 2020 წლის 2 აგვისტოსა და 1 სექტემბერს. 1 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად, მოწმე -- -- დაკითხვის დროს, მოწმისა და მოსამართლის მიერ გაკეთებული რეპლიკებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ -- -- მიმართ სავარაუდოდ გაისმა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები (ოქმში მხოლოდ მოწმის ხმა ისმის და არ ისმინება დარბაზში დამსწრეთა ხმა), რაზეც მოსამართლემ დარბაზში მყოფ პირებს მოუწოდა წესრიგის დაცვისაკენ და გააფრთხილა შესაბამისი პასუხიმსგებლობის ზომებზე.

მნიშვნელოვანია, რომ განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლე სხდომის მსვლელობის დროს იყო თავშეკავებული, ცდილობდა სხდომის კანონის შესაბამისად წარმართვასა და მხარეთა უფლებების დაცვას, რაზეც მოსამართლის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ წესრიგის დაცვისაკენ მოწოდებაც მიუთითებს.

4.2. რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მოსამართლემ ისე შეწყვიტა საქმის წარმოება, რომ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებამდე არ აიღო რამდენიმე წუთიანი შესვენება საქმის გარემოებებში გარკვევის მიზნით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, ბანგალორის პრინციპების კომენტარები, რომლის თანახმადაც, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.

ბანგალორის მეორე ღირებულების პრინციპს წარმოადგენს მიუკერძოებლობა, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე.

შესაბამისად, მოსამართლე მოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და დაინტერესებას საქმის შედეგით, მიკერძოებას ან რაიმე სახის პირადი ინტერესით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ ქმნის საკმარის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- მიერ მოცემულ საქმესთან მიმართებაში იკვეთება დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ

დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №106/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი